პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 აპრილი პარასკევი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 88 (14998)

მოძმე აზერბაიჯანსა და სომხეთში დაიწყო საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი მეგობრობის დღეები

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

15 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა სკკპ XXIV ყრილობის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

კრების პრეზიდიუმში აირჩიეს **მ. ა. გოგიჩაიშვილი, ა. ნ. ინაური, ს. კ. კურკოტკინი, ო. ი. ლოლაშვილი, ვ. პ. მჟავანაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, რ. ვ. მეტრეველი, თ. ი. მოსაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ვ. ვ. ვასილიევი,** ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

მოხსენება „სკკპ XXIV ყრილობის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ გააკეთა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ი. ლოლაშვილი,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ო. კობახია,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. დ. თხილაიშვილი,** თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ხარატი **ზ. გ. სარალიძე,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ნ. ჯუსოევი,** საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი **შ. ა. ვერულაშვილი,** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი **ა. გ. შელეპინი,** საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ა. ლაკია,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი **ვ. დ. კუპრაძე,** საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ს. ბოჭოიძე,** ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის კოლმეურნეობის მეჩაიე **ც. ს. ტყებუჩავა,** საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი **ა. ვ. ხუროძე,** საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი **ს. პ. პეტროსიანი,** ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი **ო. ნ. ეგაძე,** ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პარტკომის მდივანი **გ. ი. გუნავა,** მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. ა. წითლიძე.**

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა **ვ. პ. მჟავანაძემ.**

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება მთლიანად და სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ კურსს და პრაქტიკულ მოღვაწეობას საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, დასკვნებსა და წინადადებებს, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. აქტივის კრებამ აღუთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელნი არ დაიშურებენ ძალღონეს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის აშენების დიად საქმეში. (საქდესი).

გამოვიდა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ბროშურაში გამოქვეყნებულია აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის გამო „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის განვითარების შესახებ“. (საკდესი).

გამოვიდა სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუცია და დადგენილება

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის რეზოლუცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დადგენილება სკკპ წესდების ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ.

ბროშურა მასობრივი ტირაჟით გამოვიდა. (საკდესი).

გამოიცა მოხსენება სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესახებ

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოსცა მოხსენება „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“, რომელიც 1971 წლის 6 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა. ბროშურაში გამოქვეყნებულია აგრეთვე ტექსტი მისი 8 აპრილის საბოლოო სიტყვისა.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

დელეგატი შახტში დაბრუნდა

შრომა დაუფასდა

ტყვარჩელის შახტების მრავალათასიანი კოლექტივი კარგად იცნობს ლაკობას სახელობის შახტის საწმენდი სანგრევის მუშას ანატოლი ასტამურის-ძე ციბას. მშრომელთა სიყვარული და ნდობა მან კეთილსინდისიერი და მუყაითი შრომით მოიპოვა. მეშახტეები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ცნობას, რომ ანატოლი ციბა სკკპ XXIV ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

ტყვარჩელელი მეშახტეები გულისყურით ადევნებდნენ თვალს ყრილობის მუშაობას, ეამაყებოდათ, რომ კომუნისტთა დიდი ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მათი თანამოსაქმეც. ყრილობის მუშაობის პერიოდში მათ შეატყეს რომ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისა და მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მოპოვებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ანატოლი ციბა დაჯილდოებულია მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. ეს ჯილდო მას კრემლში გადასცეს.

მეშახტეებს ამხანაგისა და თანამოსაქმის შრომის ასეთმა მაღალმა შეფასებამ ენთუზიაზმი შემატა. ყველამ დამკვრელური შრომა გააჩაღა.

ლენინის ორდენით მკერდდამშვენებული მეგობრის ჩამოსვლას ამხანაგები მოუთმენლად ელოდნენ. ეს დღეც დადგა. ა. ციბა ყრილობიდან დაბრუნდა და თავის შახტაში გამოცხადდა. ამხანაგები გულთბილად შეხვდნენ, მიულოცეს მაღალი ჯილდო და სთხოვეს მოეთხრო თავისი შთაბეჭდილებები ყრილობის მუშაობის შესახებ.

დელეგატმა დამაჯერებლად, გარკვეულად მოუთხრო მეშახტეებს იმ დიდი ამოცანების შესახებ, რომლებიც დასახულია ყრილობის დირექტივებით, და ხაზი გაუსვა იმას, რომ გადიდებული ეგემები ძირითადად უნდა შესრულდეს შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით. ეს კი პარტიასა და მთავრობას საშუალებას მისცემს უფრო მეტი თანხები გაიღონ ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის.

სურათზე: ა. ციბა ლაკობას სახელობის შახტის მაღაროელთა შორის.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

17 აპრილს კომუნისტური შაბათობაა

სკკპ XXIV ყრილობის გახსნამდე რამდენიმე ხნით ადრე მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა ახალი თაოსნობა გამოიჩინეს — 17 აპრილს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა და გამომუშავებული ხელფასი მთლიანად გადარიცხონ ხუთწლედის ფონდში. ამ პატრიოტულ ინიციატივას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა.

ახლა, როცა ყველგან გულდასმით ეცნობიან და სწავლობენ სკკპ ყრილობის მასალებს და სახავენ ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების კონკრეტულ გზებს, ამავე დროს წარმატებით ემზადებიან კომუნისტური შაბათობისათვის, რათა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ხუთწლედის ფონდის გადიდების საქმეში.

დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი მასალები მოგვითხრობენ, თუ როგორ ემზადებიან კომუნისტური შაბათობისათვის რესპუბლიკის მთელი რიგი საწარმოები.

□

15 ათასი ბოთლი კონიაკი

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). კონიაკის ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი და ენთუზიაზმით გამოეხმაურა მეჯიბრება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ზეიმის ღირსეულად შესვედრისათვის. საწარმოში ახლა კომუნისტური შაბათობისათვის ემზადებიან. ამ დღისათვის ნაკისრია გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი. აქ გადაწყვეტილი აქვთ 17 აპრილს მასობრივად დამვიდნენ სამუშაოდ, გამოუშვან 17 ათასი ბოთლი კონიაკი და გამომუშავებული თანხა ხუთწლედის ფონდში შეიტანონ.

შაბათობის დღე ქარხანაში ფართოდ აღინიშნება. დასუფთავდება საწარმოს ტერიტორია, შესრულდება ტექნოლოგიური დანადგარების, მანქანების პროფილაქტიკის სამუშაოები.

მთელი დატვირთვით

თბილისი. საშენ მასალათა კომბინატში კომუნისტური შაბათობისათვის მზადება უკვე დამთავრდა. შედგენილია ზუსტი სამუშაო გეგმა, ყველა საამქრო 17 აპრილს მთელი დატვირთვით იმუშაგებს. კომბინატის სამმართველო აპარატის ყველა მუშაკი იმრომებს საწარმოს ტერიტორიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობისათვის. დაირგვება 100 ძირი მრავალწლიანი ხე, 500 ძირი ვარდი და 500 ძირი ბუჩქი, მოეწყობა საწარმოს ეზოში სავალი ბილიკები.

საამქროებში ამ დღეს დამზადდება 10 ათასი მანეთის პროდუქცია, გამომუშავებული ხელფასი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

ერთი დღის დანაზოგი

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც გულისყურით ეცნობიან და იწონებენ სკკპ XXIV ყრილობის მასალებს, შეუდგნენ შრომას ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. მიმდინარე წლის გეგმების განაღდებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ღონისძიება კომუნისტური შაბათობა იქნება. ამ დღისათვის მზადება ყველგან დამთავრდა. შახტსამმართველოს სამთოელებმა გადაწყვიტეს 17 აპრილს იმუშაონ დამკვრელურად, ამოიღონ 400 ტონა ქვანახშირი, სამმართველოსა და შახტების ტერიტორიაზე დარგონ 500 ძირი ხე და გამომუშავებული თანხა გადარიცხონ ხუთწლედის ფონდში.

„ელექტროძრავის“ ქარხნის კოლექტივმა იკისრა ამ დღეს იმუშაოს დაზოგილი ელექტროენერგიით, გამოუშვას 30 ცალი მუდმივი დენის ელექტროძრავი, ქარხნის ტერიტორიაზე დარგოს 200 ძირი მცენარე, შაბათობაზე გამომუშავებული თანხა შეიტანოს ახალი ხუთწლედის ფონდში.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ვიეტნამის მუშრომელთა პარტიის დელეგაციას

14 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი** შეხვდა სკკპ XXIV ყრილობის მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩამოსულ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში არიან ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ლე ზუანი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. **ნგუენ ზუი ჩინი,** ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრის მოადგილე ამხ. **ხა ბიუი ზიაპი** და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. **ნგუენ თხო ტიანი.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. **კ. ვ. რუსაკოვი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. **ი. ს. შჩერბაკოვი.**

საუბრის დროს, რომელმაც ძმურ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ინდოჩინეთის მდგომარეობის გამო იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კვლავ სცადეს გეოპერიტრინთან აგრესია, სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიას შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ, აგრეთვე მთელ რიგ ურთიერთსაინტერესო სხვა დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი** მიესალმა დიდ გამარჯვებებს, რომლებიც ამ ბოლო ხანს მოიპოვეს სამხრეთ ვიეტნამელმა ალიანსელმა პატრიოტებმა, და ვიეტნამის მშრომელთა პარტიას, მოძმე ვიეტნამელ ხალხს უსურვა შემდგომი წარმატებანი მათს მამაცურ ბრძოლაში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

ამხ. **ლე ზუანმა** და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციის წევრებმა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს დიდი, ეფექტიანი და ძვირფასი დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების შესაბამისად უწევს ვიეტნამელ ხალხს ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ, სამშობლოს ხსნისათვის და სოციალიზმის მშენებლობაში. ლონინენი, თქვა რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვიეტნამელი ხალხის, ლაოსელი და კამბოჯელი პატრიოტების შემდგომი წარმატებითი ბრძოლისათვის მათი სამართლიანი საქმის მხარდაჭერას, რომელიც ბისაბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XXIV ყრილობისადმი. ყრილობის რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, ოფლგატეხისა და სტუმრების გამოსვლებისა და სკკპ XXIV ყრილობის მიმართვაში „თავისუფლება და მშვიდობა ინდოჩინეთის ხალხებს!“.

ამხ. ლე ზუანმა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას გადასცა მიწვევა მიმდინარე წელს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგზავნონ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია.

მიწვევა მადლობით იქნა მიღებული.

გაანვაზორციელოთ ყრილობის გადაწყვეტილებანი

მოსკოვის პარტიული აქტივის კრება

პარტიამ და საბჭოთა ხალხმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომელმაც განსაზღვრა პოლიტიკური ხაზი და მუშაობის კონკრეტული პროგრამა მორიგი ხუთწლეულისათვის. ყრილობის გადაწყვეტილებანი კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს აღაფრთოვანებენ ახალ შრომით მიღწევებისათვის. პარტიული ორგანიზაციები ახლა მთელ ძალღონეს ახმარენ იმას, რომ დარაზმონ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო კადრები პარტიის მიერ გამომუშავებული ლენინური კურსის განსახორციელებლად.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ღირსეული წვლილი შეაქვთ მოსკოვის მშრომელებს.

მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, მხურვალე მისწრაფებით — განახორციელონ პარტიის წინასწარდასახულობანი — 14 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბნენ პარტიული აქტივის კრებაზე დედაქალაქის კომუნისტთა 900-ათასიანი რაზმის წარმომადგენლები.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

მოხსენება „სკკპ XXIV ყრილობის შედეგები და მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ვ. გრიშინმა.

ჩვენი პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში სკკპ XXIV ყრილობა შევა როგორც ერთ-ერთი მკაფიო, ღირსშესანიშნავი ფურცელი, თქვა მან. ყრილობამ შეაჯამა განვლილი ხუთი წლის მანძილზე პარტიის მიერ გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგები, გაბოიშუშავა პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული პროგრამა შემდგომი წლებისათვის, ეს ყრილობა იყო კომუნისტური მშენებლობის ახალი პასუხსაგები ეტაპის დასაწყისი.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს. ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა მოსკოვში უნდა გაიზარდოს სულ ცოტა 30 პროცენტით. ამასთან წარმოების მთელი მატება უნდა განხორციელდეს შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუჯობესების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის გაუჯობესებას ამ დარგში, ჩვენში არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების უფრო სრულად გამოყენებას.

პარტიის ყრილობაზე, განაგრძო ამხ. ვ. ვ. გრიშინმა, ლეონიდ ილიასძე ბრეჟნევმა მამობრივად, გულთბილად ილაპარაკა მოსკოველებზე. მან თქვა, რომ მოსკოვი ძვირფასია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, როგორც ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი, მრეწველობის, კულტურისა და მეცნიერების უდიდესი ცენტრი, როგორც ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოს სიმბოლო. მოსკოველებიც ასევე განხორციელდება დიდი სამუშაოები სანინამ მშენებლობისათვის, კეთილმოწყობისა და ტრანსპორტის სისტემის სრულყოფისათვის. გადავაქციოთ მოსკოვი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად — ეს მთელი საბჭოთა ხალხის ღირსების საქმეა. დედაქალაქის პარტიული აქტივის სახელით სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გულთბადი მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, აბსანგ ლ. ი. ბრეჟნევს მოსკოვის მიმართ ყურადღებისა და ზრუნვისათვის და აღუთქვა, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, დედაქალაქის ყველა მშრომელნი არ დაიშურებენ ძალღონესა და ენერგიას, რათა მოსკოვი მაგალითად გახდეს სანიმუშო კომუნისტური ქალაქი.

მეცხრე ხუთწლედში მოსკოვში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობა გაიზრდება ერთნახევარჯერ და მეტად წინა ხუთწლედთან შედარებით და 15 მილიონ მანეთს მიაღწევს.

შემდეგ ამხ. ვ. ვ. გრიშინი შეეხო დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში, სახალხო მეურნეობის მართვის გაუჯობესებაში, სახალხო განათლების, ახალი ადამიანის აღზრდის, კაცრებთან მუშაობის დარგში. თვითეული პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი და უმნიშვნელოვანესი საქმე, აღნიშნა მან, ახლა ის არის, რომ ფართოდ განმარტონ და პროპაგანდა გაუწიონ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რათა ახალი ხუთწლედის დავალებებში თვითეული ადამიანი ხელადვდეს პირადი შრომის პროგრამას, იჩენდეს ენერგიისა და ინიციატივის მაქსიმუმს, ღირსეული წვლილი შეეტანოდეს მის შესრულებაში.

კრებაზე გამოვიდნენ სკკპ ლენინგრადის რაიკომის პირველი მდივანი **ი. ი. რომანოვი,** ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მეფოლადე **ვ. ვ. ალეევი** და სხვები, რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, კონკრეტულად, საქმიანად განიხილეს პარტიის მიერ დასახული გეგმების პრაქტიკული განხორციელების საკითხები.

აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მხურვალედ, მთლიანად და სავსებით იწონებს და განუხრელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად იღებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს. რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია მუდამ იყო კომუნიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში, მუდამ იყო და არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმი, მისი ცენტრალური კომიტეტის ერთგული და საიმედო დასაყრდენი. დედაქალაქის მშრომელები ყველაფერს იღონებენ, რათა შეასრულონ პარტიის მიერ დასახული ამოცანა — გადააქციონ მოსკოვი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად, ჩვენი დიადი ეპოქისათვის ღირსეულ ქალაქად. კრებას მიაჩნია, რომ პარტიული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების, საწარმოთა კოლექტივების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დარაზმონ დედაქალაქის მშრომელები, საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი სწრაფი ზრდისათვის, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებისა და წლიური სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი. (საკდესი).

ენგურის ჰიდროსადგურეგისათვის

ლენინგრადი, 15 აპრილი. (საკდესის კორესპონდენტი ი. ნიკოლაევი). ხარისხის სახელმწიფოშენაანი პირველი კარფსულიანი ტურბინი გაგზავნა საქართველოში სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლენინგრადის ქარხანამ ენგურის ვარდნილი ჰიდროელექტროსადგურების კასკადისათვის. დღეს იქ გაგზავნეს ენერგეტიკული მოწყობილობით დატვირთული უკანასკნელი ვაგონები.

სამი ჰიდროსადგური, რომლებიც მდინარე ენგურზე შენდება, აღიჭურვება ლენინგრადის ორიგინალური მაღალეკონომიური აგრეგატებით. მაგალითად, თავისებურ „ჭერს“-ზე 94 პროცენტს მიაღწია იმ ტურბინის მარგი მოქმედების კოეფიციენტმა, რომელიც გენერატორთან ერთად ჰორიზონტალურადაა ჩაშენებული წყლის ნაკადში. ქარხნის ჰიდროტურბინების მთავარი კონსტრუქტორი **გ. ს. შჩეგოლევი** ყურადღებას აქცევს მანქანის მნიშვნელოვან რეზერვებს: თუმცა ტექნიკურ პასპორტში აღნიშნულია სიმძლავრე 20,6 ათასი კილოვატი, მაგრამ წყლის დაწნეხვის გადიდებით იგი შეიძლება გაიზარდოს 28 ათას კილოვატამდე.

წყლის ლენინგრადელი ტურბინმშენებლები დაამზადებენ კიდევ ორ კაფსულიან აგრეგატს საქართველოს უდიდესი ენერგეტიკული მშენებლობისათვის.

საქართველოს დღეები მოსკოვში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში 18 აპრილს დაიწყება საქართველოს სსრ დღეები. ისინი ეწყობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის წინ. თავის ნათელ დღესასწაულს ქართველი ხალხი ეგებება უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოიწვია სკკპ XXIV ყრილობამ.

საქდესის სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სსრ თვალსაჩინო წარმატებებისათვის სიამაყის გრძნობის, მოსკოვისა და საქართველოს მჭიდრო ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის, ქართველ ხალხთან ძმური მეგობრობისა და მისდამი პატივისცემის შესახებ მოგვითხრობენ ჩვენი მასპინძლები.

□ □ □

Ი. Ვ. ᲙᲝᲩᲔᲠᲒᲘᲜᲘ,

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲠᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲙᲙᲞ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ

პარტიის XXIV ყრილობამ მკაფიოდ და დამაჯერებლად ცხადყო საბჭოთა ხალხების ურღვევი და მონოლითური შეკავშირება. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ჩვენს თვალწინ დგენ სამშობლოში მცხოვრები მრავალი ეროვნების წარმომადგენლები. საბჭოთა ქვეყნის ხალხთა დიდი მეგობრობისა და ძმობის შესახებ გულთბილად ილაპარაკა ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. პ. მეჟავანაძემ.

ჩვენ, მოსკოველ მეტროპოლიტენელებს, ბევრი მეგობარი გვყავს მზიური საქართველოს დედაქალაქში. უწინარეს ყოვლისა ესენი არიან ჩვენი ამხანაგები, მეშაობდნენ. მოკლე ვადებში შეძლეს მოგვგვრებინათ მატარებლების რიტმული მიმოსვლა უაღრესად რთული სქემის მიხედვით.

ახლახან თბილისის მეტროს ხუთი წელი შეუსრულდა. მისი კოლექტივი გამდიდრდა გამოცდილებით. მან მეტროპოლიტენელებს შორის პირველმა დაიწყო მუშაობა შჩეკინოლთა მეთოდით და წარმატებას მიაღწია. მადლობას ვუძღვნით თბილისელებს იმისათვის, რომ მათ გულუხვად გაგვიზიარეს ახლებური შრომის ორგანიზაციის თავიანთი გამოცდილება ჩვენ, მოსკოველებს, და სხვა ქალაქების მეტროს მუშაკებს.

მეტროპოლიტენელებს ახლა ებარებთ საქართველოდან ჩამოსულ მეგობრებთან მომავალი შეხვედრა. ეს ... ᲛᲔᲢᲠᲝᲠᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲙᲙᲞ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲠᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲙᲙᲞ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ... 18 ᲐᲠᲠᲘᲚᲘ

29 რაიონს შორის. მას აქვს მდიდარი რევოლუციური წარსული, სახელოვანი აწმყო და კიდევ უფრო მშვენიერი მომავალი. ძერჟინსკის რაიონის მშრომელებმა გადამდე შეასრულეს მერვე ხუთწლედი და დამკვრელური შრომით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას, წარმატებით დაიწყეს ბრძოლა პარტიის მიერ დასახული დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის, პარტიული ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი ალფრთოვანებენ მათ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის.

მოვაწყოთ პატარა ექსკურსია ჩვენს რაიონში. აი მისი ცენტრალური მაგისტრალი — მშვიდობის პროსპექტი, კოსმონავტთა ხეივანი და ობელისკი სამყაროს კვლევაში ჩვენი-სამშობლოს პიონერიტის პატივსაცემად. აი მსოფლიოში ყველაზე მაღალი სატელევიზიო კოშკი — ოსტანკინოს კოშკი. ჩვენს რაიონშია 40-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტი. 50-ზე მეტი სამრეწველო საწარმო. მათ შორის არის მეტროპოლიტენის მექანიკური ქარხანა, რომელიც ასრულებს თბილისის მეტროშენებელთა ბევრ შეკვეთას. ჩვენს რაიონშია არქიტექტურისა და საფინანსო ინსტიტუტები, შრომკავშირების სახელობის უმაღლესი თეატრალური სასწავლებელი. ამ სასწავლებლებში ცოდნას იძენს, ოსტატობას ეუფლება ქართველი ახალგაზრდობაც.

ძერჟინსკის რაიონში არის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ცენტრალური მუზეუმი, სადაც როგორც ჩვენი მეომრების მამაცობის სიმბოლო, საბჭოთა იარაღს უჭირნია დიდების სიმბოლო, ინახება გამარჯვების დროშა, რომელიც 1945 წლის მაისში რაიხსტაგზე აფაშარეს რუსმა და ქართველმა მეომრებმა — ეგოროვმა და ქანთარიამ.

ჩვენ მუდამ ვგრძნობთ ქართული მიწაწყლის სიმამაცეს და სტრნელებას. ჩვენს ტერიტორიაზე ზომ განლაგებულია სრულიად საკავშირო სახალხო აკადემია — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, სადაც საშუალება გვაქვს მუდამ ვეცნობოდეთ საქართველოს სს რესპუბლიკის წარმატებებს.

მოხარული ვართ მოგვესალმოთ საქართველოს წარმომადგენლებს, ჩვენი გული მუდამ ღიაა მეგობრებისათვის.

Ა. ᲙᲐᲠᲐᲞᲝᲕᲘ,

ᲐᲕᲬᲧᲝᲑᲘ ᲖᲔᲘᲜᲐᲚᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ

— **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ** ყოველთვის სიხარულით მასპინძლობენ საქართველოს დედაქალაქის წარმომადგენლებს. მომავალი შეხვედრა განსაკუთრებული. — იგი გაიმართება ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც აღფრთოვანა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, შეუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდებულ წინასწარმეტყველთა შესრულებას. პარტიის ყრილობა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო, მან მთელ მსოფლიოს უჩვენა ლენინური პარტიის კოლექტიური სიბრძნე და ერთიანობა, კიდევ უფრო ღრმად გამოავლინა ჩვენი ხალხის მძლავრი შემოქმედებითი ძალები, ცხადყო პარტიისა და ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება, მიაღწიონ საბჭოთა მშრომელების კეთილდღეობის ახალ მკვეთრ აღმავლობას, მოიპოვონ ახალი გამარჯვებანი კომუნიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა საქართველოს დღესასწაული ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დღესასწაულია. მოსკოველები ამაყობენ თავიანთი ქართველი ძმების წარმატებებით, რომლებიც მათ მოიპოვეს კომუნისტთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური ერების ერთიან ოჯახში. რესპუბლიკის საძრწველო პროდუქცია — ელმავლები, ავტომობილები, ჩარხები, ხელსაწყოები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ელექტროშესადუღებელი მოწყობილობა, მარგანეცი, ფეროშენადნობები, ფოლადი, ნაგლინი, მსუბუქი ინდუსტრიის ნაწარმი — ცნობილია შორს საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ.

დღევანდელი საბჭოთა საქართველო განსასახიერებს მისი ერის საუკეთესო თვისებებს — შრომისმოყვარეობას, თავდადებას, უსაზღვრო ერთგულებას სამშობლისადმი, პარტიისადმი.

Ბ. Ვ. ᲡᲔᲚᲘᲮᲝᲕᲐ,

ᲡᲙᲙᲞ ᲫᲔᲠᲟᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

— უწინარეს ყოვლისა მინდა ჩვენი რაიონის კომუნისტების, ყველა მშრომელთა სახელით გულითადად მივესალმო ქართველ მეგობრებს საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავი. ეს ჩვენი დღესასწაულიც არის, რადგან ყოველივე, რაც მახლობელი და ძვირფასია ერთი ხალხისათვის, ხალხთა მეგობრობა ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის უმაღალითო აღმავლობის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მძლავრი წყარო. დიდმა ლენინმა გვიანდერძა განვამტკიცოთ და გავამრავლოთ ხალხთა მეგობრობა, როგორც ოქტომბრის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მონაპოვარი. საბჭოთა ადამიანები თვალისჩინივით უფრთხილდებიან ლენინის ანდერძს, წმიდად ასრულებენ მას.

ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად იქცა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადები, საქართველოს სს რესპუბლიკის დღეები, ქართული მეცნიერების დღეები, რომლებიც არაერთხელ გამართულა მოსკოვში, მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები ჟბილისში, რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები საქართველოში... ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში, ბოლშაია გრუზინსკაია ქუჩაზე — მთავარ მაგისტრალზე, რომელიც მუშათა კრასნაია პრესნიას აკავშირებს გორკის ქუჩასთან და ლენინგრადის პროსპექტთან, აღმართულია შოთა რუსთაველის ძეგლი. ბრინჯაოს პოეტი-რაინდი დგას ძეგლი მოსკოვის ცენტრში თავის შესანიშნავ თანამოძმეებთან — პუშკინთან, გოგოლთან, შევჩენკოსთან, გორკისთან, მაიაკოვსკისთან ერთად და სიმბოლურად გამოხატავს რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის მარადიულ მეგობრობას.

საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლებს მოსკოვში მოელით უაღრესად გულითადი მიღება. შეხვედრები წარმოების მუშაკებთან, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, დედაქალაქის მშრომელებთან ხელს შეუწყობენ გამოცდილების ურთიერთგამდიდრებას, საბჭოთა ხალხების ძმობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

Ა. ᲙᲐᲠᲐᲞᲝᲕᲘ,

ᲐᲕᲬᲧᲝᲑᲘ ᲖᲔᲘᲜᲐᲚᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ

ამას წინათ ჩვენმა ქარხანამ მიწოდების ნახევარი წლის გეგმის ანგარიშში „საკსოფლტექნიკას“ გაუგზავნა ინსტრუმენტის უკანასკნელი პარტიები. ვადამდე შეასრულეთ მზიური რესპუბლიკის ბევრი მეურნეობის შეკვეთა, რომლებთანაც დიდი ხნის მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი საწარმოს კოლექტივისა და ქართველი მეგობრების თანამშრომლობის ერთადერთი გამოვლინება როდი.

მერვე ხუთწლედში მოპოვებული შრომითი წარმატებებისათვის ჩვენი მშობლიური ქარხანა „კალიბრი“ დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. და როგორ გვესიამოვნა, როცა მრავალ მოლოცვას შორის დავინახეთ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის წევრთა დეპეშაც! ესე იგი გახსოვართ, არ გვივიწყებენ.

არ დაგვივიწყებია ის დღეები, როცა „კალიბრში“ პირდაპირ ფოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის სხდომის შემდეგ მოვიდა ქართველ მიწათმოქმედთა დელეგაცია. ვუამბეთ ჩვენს საქმეებზე, ვუჩვენეთ ინსტრუმენტის ახალი მოდელები. მანამდე კი გვქონდა შეხვედრები საქართველოს სსრ მეცნიერებთან, ხელოვნების ოსტატებთან. ყოველი შეხვედრა გვამდიდრებდა, რაღაც ახალს გვაცნობდა.

ანლა მოუთმენლად მოველით ჩვენი მეგობრების ჩამოსვლას დედაქალაქში. ბევრი რამ გვაქვს ერთმანეთისათვის სათქმელი, ბევრი რამ საჩვენებელი. საქართველოს სს რესპუბლიკამ ხომ სამშობლოს უპატაკა გასული ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება, კარგად დაიწყო ახალი ხუთწლედი. ჩვენც ბევრი წარმატება გვაქვს როგორც წარმოებაში, ისე საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ძალღონეს არ ვიშურებთ, რომ პირნათლად შევასრულოთ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

Მ. Ვ. ᲚᲔᲚᲘᲫᲝᲕᲘ,

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

საქართველოს დღეებს, რომლებიც მოსკოვში მიმდინარეობს, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების დღეებს, ღრმა აზრი აქვთ. ისინი თვალსაჩინოდ ცხადყოფენ სოციალისტური წყობილების დიდ უპირატესობებს, მოწმობენ ყველი ეროვნების საბჭოთა ადამიანების ურღვევ სულიერ ერთობას.

საქართველოს დღეები გაიმართება ღირსშესანიშნავ დროს. ესეც არის მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ, რომელმაც მკაფიო ფურცელი ჩაწერა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ყრილობის მიერ მიღებულ საპროგრამო დოკუმენტებში მეცნიერულად განსაზღვრულია ჩვენი სამშობლოს მომავალი.

საქართველოს მეცნიერებმა დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. გასულ წელს დიდი წარმატებით გამიმართა საქართველოს სსრ მეცნიერების ლენინური დღეები მოსკოვში. ქართული მეცნიერებ ... ᲛᲔᲢᲠᲝᲠᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲙᲙᲞ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ



Გ. Ვ. ᲝᲚᲔᲘᲜᲘᲩᲔᲜᲙᲝ,

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲡᲠ ᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ, ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲝᲚᲘᲡᲢᲘ

მოუთმენლად ველი ქართველ მეგობრებთან შეხვედრას. მზიური რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეებთან ურთიერთობა ყოველთვის გვამდიდრებს შემოქმედებითად, დიდ ადამიანურ სიხარულს გვანიჭებს.

ჩვენ, სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მსახიობები, არაერთხელ გამოვსულვართ ქართველ კოლეგებთან ერთად როგორც ჩვენს სცენაზე, ისე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზეც.

მოსკოველ მსმენელებს ყოველთვის ჰეშმარიტ კმაყოფილებას ანიჭებს პ. ამირანაშვილის, ზ. ანჯაფარიძის, ლ. ჭყონიას, ზ. სოტკილავას, შ. ამირანაშვილისა და სხვა შესანიშნავი შემსრულებლების გამოსვლები.

ქართული ხელოვნების მოღვაწეთა ყოველი გასტროლი მოსკოვში ახალ სიამოვნებას გვანიჭებს. სულ ახლახან საუკეთესო დარბაზებში ჩაიარა რესპუბლიკის

Ა. Ი. ᲠᲝᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ, ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ

საქართველოს დღეები მოსკოვში ერთხელ კიდევ გვიჩვენებენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას. სასიხარულოა, რომ ეს დღეები იმართება რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ნახევარსაუკუნოვანი იუბილესა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის დღესასწაულის წინ.

მე არაერთხელ ვყოფილვარ სტუმრად ქართველ მეგობრებთან და ვნახე, თუ რა კოლოსალურ წარმატებებს მიაღწია ხალხმა, როგორ გარდაიქმნა ქართული მიწაწყალი. რა მძლავრად ვითარდება მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა.

სკკპ XXIV ყრილობაზე დიდი ყურადღებით მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის

Ა. Გ. ᲐᲜᲢᲝᲙᲝᲚᲡᲙᲘ,

ᲞᲝᲔᲢᲘ

— რუს და ქართველ პოეტებს საუკუნენახევრის მეგობრობა აკავშირებთ. ამ მეგობრობის საფასველებს რომ ვიგონებთ, უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ალექსანდრე გრიბოედოვი, რომელმაც საქართველოს დაუკავშირა თავისი ცხოვრება და მთაწმინდის პანთეონში განისვენებს. იმავე ხანებში რუსებს მოესმათ პუშკინის „არა, ლამაზო, ნუ გამიგონებ ქართულ სიმღერას ესოდენ მწარეს...“ საქართველოს მთებში შეხვდა ლერმონტოვის დემონი თავის სატრფოს თამარს. ლექსების დიდი ციკლი მიუძღვნა საქართველოს შესანიშნავმა რუსმა პოეტმა იაკობ პოლონსკიმ. და, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ გავიხსენოთ კონსტანტინე ბალმონტი — „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსი მთარგმნელი. და თუმცა მისი თარგმანის დახვეწილი სტილი მთლიანად ვერ გადმოსცემს რუსთაველის პოემის ვაჟკაცურ სულისკვეთებას, ბალმონტის შრომა ჭეშმარიტი გმირობაა.

აქ უნდა დავასახელოთ ალექსანდრე ბელი და ოსიპ მანდელშტამი, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ რუს მკითხველებამდე მიეტანათ ქართული პოეზიის მომხიბვლელობა.

დროთა განმავლობაში რუსი და ქართველი პოეტების მეგობრობა სულ უფრო ქმედითი ხდება, მტკიცდება პირადი შემოქმედებითი კავშირურთიერთობით, ერთმანეთის ნაწარმოებთა თარგმანებით.

1934 წელს, მას შემდეგ, რაც გორკის მწერალთა ყრილობაზე მოვგებწოდა უკეთ გაგვეცნო ერთმანეთი, საქართველოში პირველად გაემგზავრნენ ბორის პასტერნაკი, ნიკოლოზ ტიხონოვი, პეტრე პავლენკო, კირტიკოსი ვიქტორ გოლცევი... მას შემდეგ საქართველოს თემა აიღერდა ტიხონოვისა და პასტერნაკის პოეზიაში.

ერთი წლის შემდეგ მეც ვეწვევი საქართველოს და სწორედ რომ მომხიბლა მან, მისი სახე გამოჩნდა ჩემს ლექსებში. თარგმანი დავიწყე ტიციან ტაბიძით, რომელიც ჩემი დიდი მეგობარი იყო. არაერთხელ მიმიმართავს სიმონ ჩიქოვანის, კარლო კალაძის პოეზიისათვის.

ომის შემდეგ მოსკოვში ერთგვარი „გასინჯვა“ მოვაწყე და სიმონ ჩიქოვანს წარვუდგინე სამი ახალგაზრდა პოეტი, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოში უნდა გამგზავრებულიყო. ჩიქოვანმა დაასახელა ალექსანდრე მეკეროვი — ... ᲛᲔᲢᲠᲝᲠᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲡᲙᲙᲞ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ



ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ, ᲫᲛᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲨᲘ

ᲑᲐᲥᲝ, 15 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). მომავალ აზერბაიჯანის მშრომელებთან დაიწყო დიდი და სახიხარულო დღესასწაული. ქართველ ხალხთან, მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხებთან ერთად აქ ზეიმით აღნიშნავენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილეს.

დღეს აზერბაიჯანის ყველა გაზეთი თავის ნომერს უძღვნის ქართველი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს. გაზეთები აქვეყნებენ თემატიკურ გვერდებს, რომლებშიც აგვიწერენ საქართველოს მშრომელთა წარმატებებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“ მოწინავე სტატიაში მოგვითხრობს ჩვენი ორი რესპუბლიკის მშრომელთა მეგობრობის შესახებ.

ხადღესასწაულოდ მორთულ აზერბაიჯანის ქალაქებსა და სოფლებში დღეს დაიწყო საქართველოს დღეები. და ყველგან ამ დღეების თავისებური ეპიგრაფია სიტყვები სამედ ჯერგუნის ცნობილი ლექსიდან „დოსტლულ, მეგობრობა, ბარეკამეთუნ“.

ზეიმზე ჩამოვიდა საქართველოს მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. შ. ცხაკაია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან მწერალი მ. ბ. ბარათაშვილი, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ბ. ბაბანაძე, რუსთავის ბეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი ა. ხ. შანცულაია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. ა. ხარაძე.

საქართველოს დღეებში მონაწილეობისათვის აზერბაიჯანში ჩამოვიდნენ პოპულარული მხატვრული კოლექტივები, სახალხო ხელოვნების ცნობილი ქართველი ოსტატები და მუსიკოს-შემსრულებელნი.

ხადღესასწაულოდ მორთულია ბაქოს რკინიგზის ვაგზლის ბაქანი. მის სხვადასხვა კუთხეში გაისმის მუსიკის ხმა. ბაქოს პიონერები მოსულან ყვავილებით, რათა შეხვდნენ საქართველოს წარმოგზავნილთ. ტრანსპარანტებზე რუსულ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე წარწერილია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ქართველო მეგობრებო!“. აქ შეიკრიბნენ აზერბაიჯანის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენელნი, კულტურის, მეცნიერების მოღვაწენი, მოსწავლე ახალგაზრდობა, ეურნალისტები.

მომძღვრ რესპუბლიკის წარმოგზავნილთა შესახვედრად მოვიდნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები დ. ბ. გულიევი და ბ. ნ. სეიდოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ბ. ქერიმოვი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. ალსეინოვი და სხვები.

მატარებელი ბაქანს უახლოვდება, მახპინწლები მეგობრულად ხვდებიან სტუმრებს, მიართმევენ ალისფერი მიხაკის თაიგულებს, ყველგან ჩანს მოღიმარი სახეები.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება აზერბაიჯანის სტუმართმოყვარულ მიწაზე, ძვირფასო ქართველო მეგობრებო!

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ, 15 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). სომხეთის დედაქალაქი ერევანი ხაზეიმოდ მოურთავთ. ხაგანზეულად მორთულია ქალაქი, ირგვლივ წითელი ტილოები, ტრანსპარანტებია, რომლებზეც წარწერილია მისალმებანი მოძმე ქართველი ხალხის დიდი ზეიმის პატივსაცემად. დღეს აქ იწყება საქართველოს დღეები.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხებს კარგი ტრადიცია აქვთ — ერთად აღნიშნონ ღირსშესანიშნავი მოვლენები ხალხთა ადამიანების ცხოვრებაში, გაიხარონ მეგობართა გამარჯვებებით, წარმატებებით, ერთად იდღესასწაულონ სახელოვანი თარიღები ქვეყნის ისტორიაში.

შარშან ოქტომბრის შემდგომაზე საქართველომ ზეიმით, სიყვარულითა და პატივისცემით მიიღო საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლები, რომელსაც მაშინ ნახევარი საუკუნე შეუსრულდა. ეს მოვლენა გადაიქცა ორი მოძმე ხალხის ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად, რომლებიც მუდამ ერთად იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც.

ახლა, სომეხი ხალხის შრომითს დღეებში ჩაიერთო ახალი ნათელი დღესასწაული. ერევანი ეგებება მოძმე ხალხის მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაციას, რომელიც ჩამოდის სომხეთის დედაქალაქში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე. ადგილობრივი გაზეთები ამ მოვლენას დიდ ყურადღებას უთმობენ.

...დილის 11 საათია. ერევნის რკინიგზის ვაგზლის ბაქანს უახლოვდება თბილისიდან მომავალი მატარებელი, რომლითაც აქ ჩამოვიდნენ სტუმრები საქართველოდან.

დელეგაციას მეთაურობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. კიკნაძე. დელეგაციის შემადგენლობაში არიან გორის რაიონის ძიერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ბ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ვ. დურმიშიძე, მწერალი ნ. ვ. დუმბაძე, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს გვირაბგამყვანთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ი. ოგოლაძე. მათთან ერთად ჩამოვიდა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა დიდი ჯგუფი.

ძვირფას სტუმრებს შეხვდნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ბ. ხაჩატრიანი, პარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ბ. ლარიბჯანიანი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ს. ბაბაიანი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ბ. ბაბაიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ო. მ. ბაღდასარიანი, ერევნის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ო. ასრატიანი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ბ. ი. პოღოსიანი, პარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. მ. ბახჩინიანი, სომხეთის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ს. ბ. ბასპარიანი, პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ერევნის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწენი, მოსწავლე ახალგაზრდობა, პრესის, კინოს, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები.

ყღერს ორკესტრი. სტუმრები და მასპინძლები გულითადად მიესალმებიან ერთმანეთს, პიონერებმა ქართველ სტუმრებს ყვავილები მიართვეს.

შემდეგ სტუმრები და შემხვედრნი ქალაქში გაემგზავრნენ. ნაზეიმო კორტეჟს მიესალმებოდნენ სომხეთის დედაქალაქის მშრომელები.

აზერბაიჯანში, სომხეთში

მეგობრობის დროშით

საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს დღეები აზერბაიჯანში

ბაქო. 15 აპრილი. (საქდესის სპეციალური კორესპონდენტები გ. ჭანიშვილი, ა. დადიანი) დღეს მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს სსრ დღეები, რომელიც ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

სადღესასწაულოდ არის მორთული აზერბაიჯანის მ. ფ. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დარბაზი. შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. შ. ცხაკაია.

აზერბაიჯანის სსრ კულტურის მინისტრი ზ. ნ. ბაბიროვი აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, „რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად მიესალმა სტუმრებს და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს სსრ დღეები აზერბაიჯანში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის ხალხთა, საბჭოთა აზერბაიჯანისა და საქართველოს მშრომელთა მეგობრობისა და ძმობის ტრადიციული კავშირის კიდევ მეტად განმტკიცებას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა მწერალმა მ. გ. ბარამოვშვილმა.

საქართველოს სსრ დღეები აზერბაიჯანში გაიხსნა.

დიდ კონცერტში, რომელიც ამ საღამოს გაიმართა ოპერისა და ბალეტის თეატრში, მონაწილეობდნენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. კაკაბაძის ხელმძღვანელობით, ხალხური საკრავების კვარტეტი შ. დარჩიაშვილის, ბ. ნადირაშვილის, ბ. შალამბერიძისა და მ. კერანაძის შემადგენლობით, ესტრადის IV ხაჯაღიშერო კონკურსის ლაურეატი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „დიელი“ ა. ებრალიძის ხელმძღვანელობით, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ტ. საყვარელიძე და ი. შუშანია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რ. კაკაბაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ტუღუში, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თ. ამირეჯიბი, კონცერტის რეჟისორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ქართველიშვილი.

აზერბაიჯანში საქართველოს დღეების საზეიმო გახსნასა და კონცერტს დაესწრნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, „რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა სახელით გულითადად მიესალმა სტუმრებს და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს სსრ დღეები აზერბაიჯანში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის ხალხთა, საბჭოთა აზერბაიჯანისა და საქართველოს მშრომელთა მეგობრობისა და ძმობის ტრადიციული კავშირის კიდევ მეტად განმტკიცებას.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა მწერალმა მ. გ. ბარამოვშვილმა.

საქართველოს სსრ დღეები აზერბაიჯანში გაიხსნა.

დიდ კონცერტში, რომელიც ამ საღამოს გაიმართა ოპერისა და ბალეტის თეატრში, მონაწილეობდნენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. კაკაბაძის ხელმძღვანელობით, ხალხური საკრავების კვარტეტი შ. დარჩიაშვილის, ბ. ნადირაშვილის, ბ. შალამბერიძისა და მ. კერანაძის შემადგენლობით, ესტრადის IV ხაჯაღიშერო კონკურსის ლაურეატი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „დიელი“ ა. ებრალიძის ხელმძღვანელობით, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ტ. საყვარელიძე და ი. შუშანია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რ. კაკაბაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ტუღუში, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თ. ამირეჯიბი, კონცერტის რეჟისორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ქართველიშვილი.

საქართველოს სსრ დელეგაცია ეწვია ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ფოტო სომხდმსისა. (სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

შეხვედრა საქართველოს სსრ წარმომადგენლებთან ბაქოს ვაგზალზე. ფოტო აზდსისა. (სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

დარბაზობა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ბაქო, 15 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. ალიევმა მიიღო საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. შ. ცხაკაია მეთაურობს.

ამხ. გ. ა. ალიევმა გულითადად მიიღოდა დელეგაციის წევრებს, მათი სახით კი საქართველოს ყველა მშრომელთ სასიხარულო დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი. მან რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა საქართველოს იუბილე მკაფიოდ ცხადყოფს იმ შესანიშნავ მიღწევებს, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების ნახევარი საუკუნის მანძილზე, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმობას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

აზერბაიჯანის მშრომელებმა კარგად იციან, თუ რა დიდი წარმატებანი მოიპოვა ქართველმა ხალხმა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, სოციალურ გარდაქმნათა ფართო პროგრამის განხორციელებაში, და ეს მათ ახარებთ როგორც საკუთარი წარმატებანი.

ამხ. ალიევმა მადლიერებით აღნიშნა ძმური მასპინძლობა, რომელიც აზერბაიჯანელი ხალხის წარმომადგენლებს გაუწიეს სტუმართმოყვარე საქართველოში აზერბაიჯანის დღეების დროს. მან იმედი გამოთქვა, რომ აზერბაიჯანში ჩამოსული ქართველი სტუმრებიც თავის მხრივ დარწმუნდებიან აზერბაიჯანელი ხალხის უაღრესად გულთბილ და ძმურ გრძნობებში.

დარბაზობა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ბაქო, 15 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ა. ალიევმა** მიიღო საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. შ. ცხაკაია** მეთაურობს.

ამხ. **გ. ა. ალიევმა** გულითადად მიიღოდა დელეგაციის წევრებს, მათი სახით კი საქართველოს ყველა მშრომელთ სასიხარულო დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი. მან რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა საქართველოს იუბილე მკაფიოდ ცხადყოფს იმ შესანიშნავ მიღწევებს, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების ნახევარი საუკუნის მანძილზე, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმობას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

აზერბაიჯანის მშრომელებმა კარგად იციან, თუ რა დიდი წარმატებანი მოიპოვა ქართველმა ხალხმა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, სოციალურ გარდაქმნათა ფართო პროგრამის განხორციელებაში, და ეს მათ ახარებთ როგორც საკუთარი წარმატებანი.

ამხ. ალიევმა მადლიერებით აღნიშნა ძმური მასპინძლობა, რომელიც აზერბაიჯანელი ხალხის წარმომადგენლებს გაუწიეს სტუმართმოყვარე საქართველოში აზერბაიჯანის დღეების დროს. მან იმედი გამოთქვა, რომ აზერბაიჯანში ჩამოსული ქართველი სტუმრებიც თავის მხრივ დარწმუნდებიან აზერბაიჯანელი ხალხის უაღრესად გულთბილ და ძმურ გრძნობებში.

დარბაზობა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და მთელი ქართველი ხალხის სახელით ამხ. **ნ. შ. ცხაკაიამ** მხურვალე სალამი გადასცა აზერბაიჯანის მშრომელებს. ძალიან გვიხარია, თქვა მან, რომ საბჭოთა საქართველოს ნახევარსუკუნოვანი იუბილე ასე ფართოდ აღინიშნება მოძმე აზერბაიჯანში. ჩვენი ხალხების მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი უფრო განმტკიცდა, ახალი შინაარსით გამდიდრდა. ამხ. ცხაკაიამ მხურვალე მადლობა გადაუხადა აზერბაიჯანელ მეგობრებს გულითადობისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რაც საქართველოს წარმომადგენლებს გაუწიეს. მან ილაპარაკა იმ სახელოვან შრომის წარმატებებზე, რომლებითაც საქართველოს მშრომელებმა აღნიშნეს ახალი ხუთწლედის გაზაფხული, რომელიც გაცისკროვნებულია ჩვენი დღეების უდიდესი ისტორიული მოვლენის — სკკპ XXIV ყრილობის შუქით.

საუბარში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ა. ხალილოვი**, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ი. იბრაგიმოვი**, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები **დ. ჰ. გულიევი, გ. ხ. იბრაგიმოვი, გ. ნ. ხეიდოვი**, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ა. იბრაგიმოვი**, პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. გ. ქერიმოვი**, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატები **ჯ. ს. კრასილნიკოვი, გ. შ. ეფენდიევი** და აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **კ. ა. ჰუსეინოვი.**

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲘᲡ-ᲫᲔ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

მოულოდნელად გარდაიცვალა თვალსაჩინო ენერგეტიკოსი, საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ წევრი 1927 წლიდან დავით ნესტორის-ძე ჩხეიძე.

დ. ჩხეიძე დაიბადა ქუთაისში 1906 წელს, მოსამსახურის ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ელექტრომონტიორად, ელექტროსადგურის მემანქანედ ახალციხეში. წითელ არმიაში სამსახურის შემდეგ დ. ჩხეიძე შედის ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1936 წელს და დაიწყო მუშაობა ზაჰესის მორიგე ინჟინრად. ერთი წლის შემდეგ იგი იმ სადგურის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი ხდება, შემდეგ კი დ. ჩხეიძე მეთაურობს იმ დროისათვის უდიდეს ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობას, რომლის დამთავრების შემდეგ მისი დირექტორი იყო 11 წლის განმავლობაში. ორგანიზატორული ნიჭის მეოხებით ომის მძიმე წლებში მან ახალი ტურბინის დადგმის შედეგად მიაღწია ამ სადგურის სიმძლავრის გაორკეცებას.

1948 წლიდან გარდაცვალებამდე დ. ჩხეიძე მეთაურობდა საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ სამმართველოს. თავისი მჩქეფარე ენერგიით მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის ელექტროსადგურების, ელექტროქსელების მშენებლობაში, აგრეთვე ელექტრიფიკაციაში. განსაკუთრებით დიდია დ. ჩხეიძის დამსახურება საქართველოს უდიდესი თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობაში, რომელმაც შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გადიდებულიყო ჩვენი რესპუბლიკის ენერგოსისტემის სიმძლავრე.

რესპუბლიკის ენერგოსისტემის სიმძლავრის მნიშვნელოვანმა გადიდებამ უზრუნველყო სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი ენერგომომარაგება, რაშიც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის დ. ჩხეიძეს.

თავმდაბალი, გულისხმიერი ამხანაგი, ბრინციპული და მომთხოვნელი ხელმძღვანელი ფიდან ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა მუშებში, მოსამსახურეებსა და სპეციალისტებში. ერუდირებული, მაღალკვალიფიციური ინჟინერი ბევრჯერ აურჩევიათ სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წევრად. დ. ჩხეიძე დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა, როცა საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე იყო. ამ საზოგადოებაში აქტიური მუშაობისათვის მიენიჭა „სსრ კავშირის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საპატიო წევრის“ წოდება.

დ. ჩხეიძე 1938-1948 წლებში არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრად, სხვადასხვა დროს ოჩამჩირის რაიკომისა და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის წევრად, აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოების დეპუტატად.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს დ. ჩხეიძის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის“, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენებით, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით, საპატიო სამკერდე ნიშნებითა და სიგელებით.

კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის დავით ნესტორის-ძე ჩხეიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ყველა ამხანაგის გულში, ვინც მას იცნობდა.

მ. ა. გოგიჩაიშვილი, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ვ. პ. მეძავანაძე, პ. ს. ნეპოროშნი, ნ. შ. ცხაკაია, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჯანუყვაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, გ. ე. ბოკუჩავა, შ. ე. ბუხრაშვილი, ზ. ბ. გელდიაშვილი, ვ. ი. ვადაჭკორია, ა. მ. ლაბახუა, ი. ბ. მამალაძე, მ. პ. მაჩიტაძე, ვ. გ. ნიშარაძე, ვ. მ. სირაძე, დ. ზ. ქიტიაშვილი, ე. გ. ღუდუშაური, შ. ი. წულაძე, გ. ა. ჭოლოშვილი, ლ. ს. ხარბედია, ე. მ. ჯაფარიძე.

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის დ. ნ. ჩხეიძის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 16 და 17 აპრილს 19 საათზე განსვენებულის ბინაში (ალანდაძის ქუჩა, 21).

დ. ნ. ჩხეიძის ცხედარი 18 აპრილს დასვენებული იქნება ტექნიკის სახლში (ცაგეიშვილის პროსპექტი, 35).

განსვენებულთან გამოთხოვება დაიწყება 18 აპრილს 13 საათზე. გამოსვენება — 15 საათზე. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

დარბაზობა სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ, 15 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. ე. ქოჩინიანმა** მიიღო საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია, რომელიც სომხეთში ჩამოვიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

ამხ. ა. ე. ქოჩინიანი გულითადად მიესალმა მზიური საქართველოს მშრომელთა წარმოგზავნილთ. სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სომხეთის ყველა მშრომელთა სახელით მან მხურვალე სალამი უძღვნა და ყოველივე სიკეთესა უსურვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მთავრობას და მთელ მოძმე ქართველ ხალხს, რომელიც მალე აღნიშნავს თავის დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

ა. ე. ქოჩინიანმა თქვა, რომ საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის ნახევარი საუკუნის იუბილეს ყველა საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაულია. საქართველოსა და სომხეთის ხალხთა მეგობრობის საუკუნოვანი ტრადიციები აქვს, იგი განმტკიცებულია თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ერთობლივი ბრძოლით.

ამხ. ქოჩინიანმა გააცნო სტუმრებს საბჭოთა სომხეთის მიღწევები. მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობათა მშრომელებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს ხუთწლედი. სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ისინი შეუდგნენ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებას და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულონ პარტიის წინასწარდასახულნობანი.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **შ. დ. კიკნაძემ** საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მთავრობის, რესპუბლიკის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამი უძღვნა მოძმე სომხეთის კომუნისტურ პარტიას, მთავრობასა და ყველა მშრომელთ. მან ილაპარაკა საბჭოთა საქართველოს წარმატებებზე ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, იმ სახელოვან საქმეებზე, რომლებითაც რესპუბლიკა შეეგება ქვეყნის კომუნისტების ისტორიულ ფორუმს და ეგებება ქართველი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს.

დარბაზობას, რომელმაც გულთბილ, გულითადვითარებაში ჩაიარა, დაესწრნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. გ. ხაჩატრიანი**, პარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ლ. პ. დარბინიანი**, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ს. ა. მოვსესიანი**, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები **კ. ი. პოღოსიანი, ჯ. ს. კირაკოსიანი**, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი **კ. ა. უნანიანი.**

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲣᲙᲕᲔᲚᲔᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ

ᲛᲠᲔᲕᲐᲜᲘ, 15 აპრილი. (საქდესის სპეციალური კორესპონდენტები ვ. გულაშვილი და ვ. კიურეღიანი). ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, მასწავლებლები და სტუდენტები მასპინძლობდნენ ქართველ სტუმრებს — მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. კიკნაძე.

სტუმრებს ახლდნენ სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ა. მოვსესიანი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ჯ. ს. კირაკოსიანი, პარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის მდივანი ბ. ბახჩინიანი.

უნივერსიტეტის სადღესასწაულოდ მორთული საქტო დარბაზი ხალხით არის სავსე. შეკრებილნი მქუხარე ტაშით მიესალმნენ საქართველოს წარმომადგენლებს.

საზეიმო კრება გახსნა უნივერსიტეტის პარტკომის მდივანმა ო. ხ. ბარსეგიანმა, რომელმაც დამსწრეთა წარუდგინა სტუმრები.

სიტყვა ეძლევა უნივერსიტეტის პრორექტორს ბ. ე. ხაჩატურიანს, უმაღლესი სასწავლებლის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით იგი მხურვალედ და გულითადად მიესალმა ძვირფას სტუმრებს და მიულოცა მოახლოებული დღესასწაული — საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავი.

პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის სახელით მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ისტორიული მეცნიერებათა დოქტორმა, ეთიკისა და ესთეტიკის კათედრის გამგემ პროფესორმა მ. ა. მელიქიანმა და არქეოლოგიის, წყაროთმცოდნეობისა და ეთნოგრაფიის კათედრის გამგემ პროფესორმა ა. გ. აბრამიანმა.

ერევნის უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით გამოვიდა ეკონომიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ა. ს. შირაჩიანი. მან სტუმრებს ქართულად მიმართა და თქვა, რომ ორი რესპუბლიკის ახალგაზრდობა, სტუდენტები წმიდად იცავენ მეგობრობას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს სომეხი და ქართველი ხალხების დიდმა შვილებმა დარბაზში გაისმის ოვაციანი თუმანიანისა და იოსებ გრიშაშვილის ლექსები, რომლებშიც უმღერიან ორი ხალხის მეგობრობასა და ძმობას.

—ეგზაფხულის ამ დაუვიწყარ დღეს განსაკუთრებით ხასიამოვნოა მივულოცოთ ჩვენს ძეგრფას სტუმრებს და მათი სახით მთელ ქართველ ხალხს ღირსშესანიშნავი იუბილე, — თქვა უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა მ. ს. ხოსროვიანმა.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ვ. დურმიშიძე.

— სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, — თქვა მან. — სომეხი და ქართველი ხალხები სამუდამოდ დაკავშირა ერთმანეთთან ჭეშმარიტად ტიტანურმა ბრძოლამ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ისინი მხარდამხარ იცავდნენ მშობლიურ მიწა-წყალს, დამოუკიდებლობას, ეროვნულ კულტურასა და ენას.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წელმა კიდევ უფრო დააწოვა სომეხი და ქართველი ხალხები. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ თბილისში დიდი სახალხოთ შევეგებეთ სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დღესასწაულს, ახლა კი აქ, ერევანში, აღვნიშნავთ ჩვენი ხალხის დღესასწაულს. 50 წლის არსებობის მანძილზე საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობამ და კულტურამ უმაგალითო აყვავებას მიაღწიეს. დიდი შრომითი წარმატებებით მეხვდნენ რესპუბლიკის მშრომელები სკკპ XXIV ყრილობას.

ს. ვ. დურმიშიძემ ილაპარაკა სომეხ და ქართველ მეცნიერთა მჭიდრო თანამშრომლობაზე, იმაზე, თუ რა დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოში სომხეთის წარსულისა და აწმყოს შესწავლას.

...საზეიმო კრება დახურულად ცხადდება. დარბაზში დიდხანს გრიალებს ტაში.

გაქოელ კომისართა მავზოლეუმთან

26 ᲑᲐᲥᲝᲔᲚᲘ კომისარი... მათი სახელი დიდებით არის მოსილი, ისინი გახდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა მარადიული მეგობრობის სიმბოლო, მათი სისხლით სამუდამოდ შედუღაბდა ამიერკავკასიის ხალხთა ურღვევი ძმობა.

სტეფანე შაუმიანი, მეშადი აზიზბეკოვი, ალიოშა ჯაფარიძე და ივანე ფიოლეტოვი. ბაქოს კომუნის ამ მოღვაწეების პორტრეტული ბარელიეფები ამოკვეთილია გრანიტის კედელზე, რომელიც ამოაკრეს 26 კომისრის მემორიალურ კომპლექსს. კომპლექსის ცენტრში დგას მავზოლეუმი, რომელსაც მუშის ფიგურა ამშვენებს. მუშას ხელში უჭირავს თასი ჩაუკრბელი ცეცხლით.

ბაქოს კომუნის უკვდავ მოღვაწეთა ხსოვნის პატივსაცემად აქ მოვიდა საქართველოს მშრომელთა დელეგაცია, რომელიც ბაქოში ემყოფება აზერბაიჯანში საქართველოს სსრ დღეებთან დაკავშირებით. აქვე არიან ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

დელეგაციამ ეოცხალი ყვავილები შეამკო მავზოლეუმი. გეორგენის გიხს აკრავს ალისფერი ლენტი, რომელზეც ოქროს ასოებით წარწერილია: „26 ბაქოელ კომისარს საქართველოს სსრ შრომელთა დელეგაციისაგან“.

წუთიერი დუმილი. ეფერს ყარა ყარაევის „რეკვიემის“ საზეიმო მელოდია.

ბაქო.

ᲫᲛᲝᲒᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ

ᲙᲘᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲑᲐᲥᲝ. 15 აპრილი. (ტელეფონით საეც. კორ. ვ. ჭანიშვილი). საზეიმოდ, ფერადი სურათებით, ქართული ორნამენტებით დამშვენებული გამოვიდა დღეს მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკური გაზეთები. 15 აპრილის ნომრები ვრცლად აშუქებენ ძმობისა და მეგობრობის ხათელი დღესასწაულის — აზერბაიჯანში საბჭოთა საქართველოს დღეების დაწყებას, რომელიც ეძღვნება საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე ანშლაგით — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მეგობრებო!“ იხსნება აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანოს გაზეთ „კომუნისტის“ პირველი გვერდი. ამავე გვერდზე, რომელზეც ვხედავთ თბილისის ლენინის სახელობის მოედნის პანორამას, გამოქვეყნებულია სიმღერა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ამხ. ნ. ცხაკაიასთან — „ძმურ ოჯახში“...

საერთო სათაურით — „ჩვის არ მოხმენლავს საქართველოს მშრომელნი“ გაზეთი გამოქვეყნებს ორი მოძმე რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობას; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ე. ხარაძის, სოციალისტური შრომის გმირის მეფოლადე ა. ფანიელიანის, ჟურნალ „საბჭოთა ქალის“ რედაქტორის მწერალი ქალის მარია ბარათაშვილის, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. კაკაბაძის, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ა. დვალიშვილის წერილებში გაზეთი თავის მკითხველებს მოუთხრობს იმ გრანდიოზულ წარმატებებზე, რომლებიც ქართველმა ხალხმა ცხოვრების ყველა დარგში მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“! ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე მიესალმება საბჭოთა საქართველოს დღეების დაწყებას რესპუბლიკური გაზეთი „ვიშკა“. გაზეთის მეორე გვერდი საერთო სათაურით „დე ბარად ჰყვაოდეს საბჭოთა საქართველო“ მთლიანად დათმობილი აქვს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ამსახველ მასალებს. აქ დაბეჭდილია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ე. მიქელაძის საუბარი, მწერალ აკადემიკოს ფ. შენგელაიას წერილი და სხვა მასალები.

აზერბაიჯანში საქართველოს დღეების დაწყებას მრავალ მასალას უძღვნიან აგრეთვე რესპუბლიკური გაზეთები „სოვეტ ჭანდი“ („საბჭოთა სოფელი“) და „მოლოდეიე აზერბაიჯანი“. რომლებშიც გამოქვეყნებულია სოციალისტური შრომის გმირების მ. მექვაბიშვილის, მ. ორაგველიძის და სხვათა წერილები, ი. ნონეშვილის, მ. მაჭავარიანის, ბ. შინკუბას ლექსები.

საბჭოთა საქართველოს დღეების დაწყებას თავისი გადაცემები მიუძღვნეს აგრეთვე აზერბაიჯანის რადიომ და ტელევიზიამ.

ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად უდიდესი ალფრთოვანებით, შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელთა პხუსუხად თავდადებით შრომობენ, ახალ წარმატებებს აღწევენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

ამ დღეებში მთელ რესპუბლიკაში ეწყობა კრებები, რომლებიც ეძღვნება კანდიდატთა დასახელებას ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობაში. მათი მონაწილენი სიამაყით ლაპარაკობენ მიღწეულ წარმატებებზე და ამყარებენ ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს, გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მშენებლობის იმ ახალი პროგრამის წარმატებით შეს

სპეციალური ნოტა

ვაშინგტონი. 15 აპრილი. (საკადესი). სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გაუგზავნა მორიგი ნოტა იმის გამო, რომ არ წყდება სიონისტური ელემენტების მტრული მოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში მომუშავე საბჭოთა დაწესებულებებისა და მოქალაქეების წინააღმდეგ.

ნოტაში ყურადღება ექცევა სიონისტი ხულიგნების პროვოკაციებს „აეროფლოტის", „ინტურისტისა" და „ამტორგის" წინააღმდეგ, რაც 13 აპრილს მოაწყვეს ნიუ-იორკში, აგრეთვე სიონისტთა გუშინდელ ხულიგნურ მოქმედებას ვაშინგტონში სამი საბჭოთა დიპლომატის მიმართ.

სსრ კავშირის საელჩო კვლავ მოითხოვს ამერიკის ხელისუფლებისაგან, რომ ქმედითი ეფექტიანი ღონისძიებანი განახორციელონ ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებების უშიშროებისა და მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველყოფისთვის.

მსოფლიოს ამბები

იაპონურ ენაზე

ტოკიო. 15 აპრილი. (საკადესი). იაპონიის გამომცემლობა „აზია სტენდმა" ცალკე ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი სკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც ყრილობაზე გაკეთა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ზანგი ხალხის ერთგული შვილი

ნიუ-იორკი. 15 აპრილი. (საკადესი). ცნობილ ზანგ მომღერალს, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მამაც მებრძოლს პოლ რობსონს 73 წელი შეუსრულდა.

ოფიციალურმა ამერიკამ ამ თარიღს დუმილით აუარა გვერდი. როგორც პოლ რობსონის ვაჟი აღნიშნავს ჟურნალ „ფრიდომუეიზში", რომლის ნომერი მთლიანად გამოჩენილ ამერიკელს ეძღვნება, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა ხალხისათვის დაევიწყებინათ პოლ რობსონი, რომელიც ამ ბოლო წლებში მძიმედ არის ავად. როგორც მისი ვაჟი აღნიშნავს, ხელისუფლებმა კონფისკაცია უყვეს პოლ რობსონის შესახებ დიდძალ კინომასალებს.

ამერიკელ კომუნისტთა გაზეთმა „დეილი უორლდა" ამ ღირსშესანიშნავ თარიღს სპეციალური განყოფილება მიუძღვნა. გაზეთის რედაქტორი ჯონ პიტმენი ამუქებს საბჭოთა კავშირის დიდი შეგობრის პოლ რობსონს დიდი ცხოვრების გზას. „დეილი უორლდი" მკითხველებს შეახსენებს, რომ საბჭოთა ადამიანები მუდამ გულთბილად სვდებოდნენ პოლ რობსონს.

ფოტო ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სამ ათას ცენტნერ პამიდორსა და კიტრს გადასცემს სავაჭრო ქსელს მიმდინარე წლის არასეზონურ დროს გორის საკოლმეურნეობათაშორისო მეშოსტნეობის სასათბურე მეურნეობა, რომელსაც 30.000 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს. წელს დაიწყება სასათბურე მეურნეობის მეორე რიგის მშენებლობა. იგი 40 ათას კვადრატულ მეტრ ფართობს დაიკავებს.

• • •

სურათზე: მოწინავე ახალგაზრდული ბრიგადის წევრები (მარცხნიდან): რ. ხატაშვილი, ნ. შავშიშვილი, თ. ხარიბეგაშვილი და მ. სუხიტაშვილი სამუშაოზე მიდიან.

საიუბილეო ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულნი

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ დაამტკიცეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს პროფსაბჭოსა და მწერალთა კავშირის მიერ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილება.

ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ ცნობილი ლიტერატორები ბ. ქენტი (თავმჯდომარე), გ. ნატროშვილი, რ. ჯაფარიძე, ა. მირცხულავა, მ. ფოცხიშვილი, ე. ყიფიანი, ვ. კანდელაკი, საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენლები. ჟიურომ საიუბილეო კონკურსის გამარჯვებულთ მიანიჭა:

პრეზიდიუმის დარგში — განათლების რესპუბლიკური სახლის ლიტერატურული გაერთიანების წევრებს: ჟურნალ „სინათლის" ტექნიკურ რედაქტორს დ. გრიგოლაშვილს **რომანისათვის „ირემო, მთასა მყვირალო" პირველი პრემია 500 მანეთის ოდენობით;** ჟურნალ „ბირთვის" რედაქტორის მოადგილეს **გ. იათაშვილს მოთხრობისათვის „მკვდრის დიმილი" მეორე პრემია — 300 მანეთის ოდენობით. მეორე პრემია მოთხრობებისათვის „ქარვისფერი ბილეკები"** და **„ბორფლიანი მთვარე"** მიიღო აგრეთვე მეტროპოლიტენის კლუბის ლიტერატურული გაერთიანების წევრმა, თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს კომუნალური განყოფილების ინჟინერმა **ე. შერაბიშვილმა.**

პროზის დარგში — პირველი პრემია არავის არ მიენიჭა. **მეორე პრემიები თითოეული 300 მანეთის ოდენობით** მიენიჭათ: სენაკის რაიონული ბიბლიოთეკის ლიტერატურული გაერთიანების წევრს, საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს **ლ. ბეგიაშვილს ლექსთა კრებულისათვის,** გამომცემლობა „ნაკადულის" საბავშვო წიგნის სასლის ლიტერატურული გაერთიანების წევრს, თბილისის ლენინის რაიონის № 10 ზონალური წიგნის მაღაზიის გამყიდველს **ფ. ჩიბაკაძეს სამავშვო ლექსთა კრებულისათვის „ბულკეთილი გულწოფელი",** თბილისის პლეხანოვის სახელობის კულტურის სასლის ლიტერატურული გაერთიანების წევრს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს **ლ. ჭავჭავაძეს ლექსთა კრებულისათვის.**

მესამე პრემია — 200 მანეთი ლექსთა კრებულისათვის დაიმსახურა მხატვარმა, ამჟამად პენსიონერმა **ა. ბახტაძემ** (გაგრა).

იმის გამო, რომ დრამატურგიის დარგში წარმოდგენილი იყო დაბალი მხატვრული დონის ნაწარმოებები, ჟიურომ გადაწყვიტა პრემიები არავისთვის არ მიენიჭებინა.

საიუბილეო ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულნი დაჯილდოდნენ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო სიგელებით.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საქართველოს პროფსაბჭოსა და მწერალთა კავშირის შემდეგი ლიტერატურული კონკურსი მოეწყოს 1972 წელს. (საქდესი).

„უხილავ სამყაროში"

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის საოლქო ტელევიზიის სახლში მოეწყო საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მუზეუმის მოძრავი გამოფენა „შეღწევა უხილავ სამყაროში (ინტროსკოპია). გამოფენა მნახველებს აცნობს მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიმართულებებს, მათს გამოყენების სახალხო მეურნეობაში. გამოფენა მოვალეობრივს ინტროსკოპიის საშუალებათა გამოყენებაზე მანქანათმშენებლობაში, ქიმიურ მრეწველობაში, მედიცინისა და ტექნიკის დარგებში.

„წყალტუბოს" ახალი კორპუსი

წყალტუბო. (საკ. კორ.). საექსპლოატაციოდ გადაეცა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს სანატორიუმ „წყალტუბოს" ახალი, რიგით მესამე, კორპუსი.

ეკლარის ქვით მოპირკეთებული 4-სართულიანი მონუმენტური კორპუსი 72-საწოლიანია, აქვს ლიფტი და კომფორტაბელურად მოწყობილი ვესტიბიულები. თვითეული პალატა ერთ და ორსაწოლიანია, ყველა პალატაში არის საშხაპე, ტუალეტი. ახალი კორპუსი პირველსა და მეორე კორპუსებთან ლამაზად გაფორმებული დახურული გადასასვლელებით არის დაკავშირებული.

სანატორიუმ „წყალტუბოს" ახალმა კორპუსმა უკვე მიიღო პირველი დამსვენებლები.

ჟურნალი—სტუმრად გვირაბმშენებლებთან

ამ დღეებში ლენინის ორდენოსანმა თბილგვირაბმშენის სახელოვნებო კოლექტივმა სტუმრად მიიწვია ჟურნალ „ცისკრის" შემოქმედებითი კოლექტივი. გაემართა გულთბილი, მეგობრული შეხვედრა.

თბილგვირაბმშენის სამმართველოს უფროსმა ვ. გოცირიძემ სტუმრებს მოუთხრო თბილისელ გვირაბმშენებელთა საქმიანობაზე, მომავლის გეგმებზე. „ცისკრის" რედაქტორმა ჯ. ჩარკვიანმა ილაპარაკა ჟურნალის დანიშნულებაზე, მიზნებსა და ამოცანებზე. შემდეგ ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ზ. ბოლქვაძემ, ა. აბულაშვილმა, ე. კვიტაშვილმა, ტ. ჭანტურიამ, ნ. ნარსიამ, სტუდენტთა გამოვიდნენ „ცისკრის" პასუხისმგებელი მდივანი ო. პაჭკორია და ახალგაზრდა პროზაიკოსი კ. კობერიძე. თბილგვირაბმშენის ლიტერატურული წრის წევრებმა შეკრებილთა გააცნეს თავიანთი ლექსები.

მოწვეულ სტუმართა შორის იყო სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნანა ალექსანდრია, რომელმაც პოეტებთან და გვირაბმშენებლებთან ერთდროულად თამაშის სეანსი მოაწყო.

ლიდი ოგეკეკები

საჩხერე. (საკ. კორ.). სოფელ ნიგზარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ავტომანქანის მძღოლმა ს. მაკარაშვილმა რაიონის ცენტრალურ შემნახველ ხალარობი წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1971 წლის მეორე გამოშვების ლატარიის ბილეთი (№ 188, სერია 40780), რომელმაც მოიგო მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი".

საჩხერელმა დ. ბინიაშვილმა სამმაროვენტალი ობლიგაციით მოიგო 500 მანეთი.

ავტორალი

იაროსლავლში სტატია მიეცა ავტორალს — „ოქროს რკალს" ყოველკვირეულის „ნიდელიას" პრესზე. შეჯიბრებაზე გამოდის „ვოლგისა" და „მოსკვიჩის" მარკის 150 მანქანა. ავტორალის მონაწილეებმა უნდა გაიარონ 4.000 კილომეტრი. ტრასა მეტად რთულია, მონაწილეობენ მხოლოდ უმაღლესი კლასის მძღოლები.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ა. ზაქარიაძის დაკრძალვის მოგზაური კომისიისაგან

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ა. ზაქარიაძის დაკრძალვა მოხდება 17 აპრილს 17 საათზე ქართველ მწერალთა და ხელოვნების მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. (საქდესი).

...ეს ...

...

...

##